# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პრ. სპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 8 მ. მე-4 გვერდზე—6 მ.
**სამგლოვიარო** განცხადებანი 30 სტრიქონი—250 მ. 1-ლი საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

ელიზბარ დი მეძვენე. | სამშაბათი, მარიამობისთვის 24. 1920 წ. № 82 | ფასი 10 მანეთი.



**კინემო „მინიონი"**
**გოლოვინის პროსპ. 24**

საზღვარ-გარეთიდან ახლად მიღებული მშვენიერი სურათი:

## ეროვნულ თავისუფლებისთვის მებრძოლნი

მხატვრულ-ისტორიული დრამა 4 ნაწილად. პიესის სიუჟეტი აღებულია იტალიის 1858 წლის ცხოვრებიდან. გამოყვანილია ყველა ისტორიული გმირები.

ყველამ უნდა ნახოს თუ როგორ იტანჯებოდნენ და კვდებოდნენ თავისუფლებისა და სამშობლოს მოყვარულნი.

დასასრულ „კავის ნაპირებზე".

**სახელმწიფო თეატრი**

## ბალეტის სკოლა

იღებენ მოწაფეებს ვაჟთ და ქალთ 9-დან 16 წლამდის. ჩაწერა შეიძლება თეატრის კონტორაში 11-დან 2 საათ. გამოცდა 15 სექტემბერს იქნება.

სკოლის დირექტორი მ. ი. პერინი.

1—4—1

**ევროპა-კავკასიის სავაჭრო ბანკი**

(რუსთაველის პროსპექტი № 17 და ბარიატინსკის კუთხე, ტელ. № 17—48

ამით აცხადებს, რომ

## გაიხსნა სავალიუტო

განყოფილება და აწარმოებს სარგებლიანი

და უცხოეთის ვალიუტის ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის.

ბანკი ღიაა 9—3 საათამდე.

**სხვაგან სად! თუ არ სასადილო**

## „ტამირაში"?!

(ყოფილი „ეკონომია")

პუშკინის ბაღის პირდაპირ

| | | |
|---|---|---|
| ვისაუზმოთ დილ. | . . . 10--12 | ს. |
| ვისადილოთ ,, | . . . 12--6 | ს. |
| ვივახშმოთ ,, | . . . 6--12 | ს. |

ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ: მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები

მობრძანდით და დარწმუნდით.

ქ. ლანჩხუთში არსდება ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

# გურიის სავაჭრო კოოპერატიული ბანკი

რომლის ძირითადი თანხა არის **ორი მილიონი მანეთი.**

თითო აქცია ღირს **1000** მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად **50** მან. ერთი ხმის უფლებას ანიჭებს **5** აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნას აქციის ნახევარი ღირებულება **500** მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის **50** მან. ე. ი. თითო აქციაზე **550** მან.

საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: **6**-ორშაბათს, **7**-სამშაბათს, **8**-ოთხშაბათს, **9**-ხუთშაბათს და **10** პარასკევს ამა სექტემბერს: ლანჩხუთში-საურთიერთო ბანკში. თბილისში-ცენტრო-ბანკში. ქუთაისში-ვლადიმერ იაგორისძე გვარჯალაძესთან. ფოთში-ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში მოსე იაგორისძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში-ელისე ანთელიძესთან. სამტრედიაში-სიმონ სპირიდონისძე ქართველიშვილთან და ხუფსაში-კონსტანტინე ჭანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნაში ეძლება ლანჩხ. საურთ. ბანკში.

1-3075-7 — გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

××●×× საზოგადოების საყურადღებოდ ××●××

## დავით იაგორის-ძე კალანდაძე

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

## კონიაკის, არაყის და ლიკიორის

მ. ნ. აივაზოვისა, ყოფილი სავაჭრო სახლი ამ. სეილ ნოვებისა პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის საკუთრებათ. ახლო ხანში სასმელები გამოვა კალანდაძის ფირმით სადგურის ქ. № 5, სახლი სომხების სასულიერო სემინარიისა.

27

ვაძლევ უცხო ენის გაკვეთილებს

## ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ ენებისას,

როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად.

დიპლომი მიღებული მაქვს პარიზის უნივერსიტეტ. სორბონიდან.

მისამართი: სასამართლოს ქ. 38. ბ-რდა ორლა

**სახელმწიფო თეატრი**

საჭიროა თანამშრომელნი

## ვაჟნი და ქალნი

ინტელიგენტთაგანი

ჩაწერა შეიძლება თეატრის კონტორაში 11-დან 2 საათამდის. გამოცდა 10 სექტემბერს.

1—5—1


## მავნე თავისმოტყუილება.

სოციალ-დემოკრატიული პრესა ფრიად კმაყოფილი დარჩა საბიუჯეტო კამათით დამფუძნებელს კრებაში. მენშევიკურ გაზეთების აზრით ამ კამათმა გამოაშკარავა მათი პოლიტიკის დიდი გამჭრიახობა და შორს მჭვრეტელობა. ამასთანავე გამომჟღავნებულა ოპოზიციის სრული სისუსტე, რაც მათთვის არც წინეთ შეადგენდა რაიმე საიდუმლოებას. მენშევიკური პარტია აგრეთვე დიდს კმაყოფილებას გამოსთქვამს იმით, რომ ოპოზიციამ ვერავითარი გეგმა ვერ წარუდგინა, დამფუძნებელს კრებას ჩვენი ფინანსების გასასწორებლად, ხოლო მათ კი აღმოაჩინეს უებარი წამალი ფინანსიური გასაჭირის თავიდან ასაცდენად.

სამწუხაროა, რომ მენშევიკური პარტია ასეთი ილიუზებით ირთობს თავს მაშინ, როდესაც ჩვენი ფინანსიური ცხოვრება სულ კატასტროფს განიცდის, ფულის ფასი ეცემა საათობით და ცხოვრების გაძვირება ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს.

ოპოზიციის კრიტიკა სრულიად უსაფუძლო იყოს! მართლაც და სრულს უპასუხისმგებლობას უნდა დაეჩვიოს ესა თუ ის გაზეთი, რომ ესეთი დაფასება გაუკეთოს იმ არამც თუ კამათს, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ღ ე ს

ბოლშევიკებმა სედლეცი და ბრესტლიტოვსკი დასტოვეს.

წითელი არმიელები სამივე მხრით გარშემორტყმულია.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლად რუსეთში დაინიშნა გ. მახარაძე.

მიუხენში შესდგა გერმანელთა ერთი ჯგუფი, რომელთაც საქართველოში მსურთ გადმოსახლება.

იტალიაში შეიძინეს საქართველოსათვის უკანასკნელი სისტემის აეროპლანები.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი.

მეთაური: მ ვნე მოტყუილება.

მ. კ. ორი ქვეყანა.

ფელეტონი: ა) ვ. გაფრინდაშვილი: დაისი №13. ბ) რაჟდენ გვეტაძე: ქმრიანი ღვთისმშობელი გ) გრიგოლ რობაქიძე: ქართული რიტმული.


გულდათუთქული მეუღლე მინადორა ასლანის ასული ავალიანისა, შვილი ინჟენერი ვლადიმერ ლუკას ძე ავალიანი, ქალიშვილი ნადეჟდა კაშიბაძისა, ძმა არკადი მოსეს ძე ავალიანი, რძალი ანეტა ავალიანისა სიძე ვასილ კაშიბაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას სოფ. საჩინოში მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ასლან (ლუკა) მოსეს-ძე ავალიანისას

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1

მიიღება ხელის მოწერა ყოველ კვირეულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ.

„ახალ სხივზე“

გაზეთი გამოდის გრიგოლ გიორგაძის რედაქტორობით, ღირს თვეში 20 მანეთი, ფული უნდა გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, პეტრე დიდის ქუჩა № ,,ახალ სხივს“

6—1


საშინელს სცენებს, რომელსაც დამფუძნებელს კრებაში ადგილი ჰქონდა. ოპოზიციამ ბევრი რამ საშინელება გამოარკვია: სრული უპასუხისმგებლობა ჩვენი ფინანსიური საქმეების წარმოებაში, სრული უპასუხისმგებლობა სახელმწიფოს ქონების მოვლა-პატრონობაში, უკანტროლო ძარცვა და ტაციობა სახაზინო სიმდიდრის. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლებმა მწუხარებით განაცხადეს, რომ ყოველივე ეს არაფერია შედარებით იმ საშინელებასთან, რომელსაც წარმოადგენს საერთო ეკონომიური პოლიტიკის ხაზი. მათ ციფრებით დაამტკიცეს, რომ მხოლოდ თამბაქოს მონოპოლიის უწესოდ წარმოებამ რამოდენიმე მილიარდი ზარალი მოუტანა ჩვენს ქვეყანას, გარდა იმისა რომ მომავლისთვის სრულიად გაანადგურა ეს დარგი მეურნეობისა. ციფრებითვე მტკიცდებოდა სრული უნიადაგობა იმ იმედებისა, რომელსაც მთავრობა ამყარებდა თავის მომარაგების და მიწადმოქმედების სამინისტროს ოპერაციებზე. ურყეველი ცნობებით დაამტკიცეს რომ ამ უწყებათ, და აგრეთვე ერობათა და ქალაქთა ,,კოლექტიური მეურნოება“, რომელმაც უნდა შესცვალოს თანდათან კერძო წარმოება და კერძო ინიციატივა, მოგებას კი არ იძლევა არამედ მხოლოდ ზარალს და ცხოვრებას კი არ აიაფებს, არამედ კიდევ უფრო აძვირებს. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წამოაყენა მთელი რიგი ღონისძიებითა, რომელიც უნდა მივიღოთ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყველა ეს ღონისძიებანი უკვე მიღებულია ევროპის სახელმწიფოებში. ჩვენში კი? თითქოს არც კი გაუგონიათ ყოველივე ეს. შესრულების იმედი ხომ აბა საიდან უნდა გვქონდეს?

მენშევიკები მაინც იკვეხნიან. ოპოზიციამ ვერ მოგვცა გეგმა ჩვენ კი კარგი რეზოლიუცია შევიმუშავეთო. რა მოითხოვეს მათ რეზოლიუციაში? კოლექტიური მეურნეობა გავაფართოვოთო და ამასთანავე უმაღლესი ეკონომიური საბჭო დავაარსოთო. პირველი უკვე გამოვცადეთ და მისი შედეგებიც თვალწინ გვაქვს. მეორე ჩვენ მოვითხოვეთ ჯერ ერთი წლის წინეთ. მაშინ რომ დაარსებულიყო იქნებ ბევრი შეცდომა აგვეცდინა თავიდან. ნუ თუ ეს გეგმაა ისეთი გეგმა რომელზედაც მენშევიკები ასეთის რიხით სწერენ?

## ორი ქვეყანა.

თანამედროვე საერთაშორისო მოძრაობას ორი, დიამეტრალურად ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ქვეყანა აძლევს ტონს:

ერთის მხრით ევროპა და ამერიკა, მეორე მხრით საბჭოთა რუსეთი.

საქართველომ და ქართველმა დემოკრატიამ,—რა სიმძიმისაც არ უნდა იყოს მისი საერთაშორისო წონა, საკუთარი აზრი და ორიენტაცია უნდა იქონიოს ამ შემთხვევაში.

არ არის მართალი ის აზრი, თითქოს ჩვენი რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკით ჩვენს მეტი არავინ იყოს დაინტერესებული; არც ისე პატარა ვართ, რომ არავინ შეგვნიშნოს, მაგრამ არც ისე დიდი ვართ რომ, ჩვენს იქით არავინ შევნიშნოთ.

ამიტომ საჭიროა ჩვენს პოლიტიკურ ფიზიონომიას, ამ ორ სხვადასხვა პოლიუსებს შეჯახების პროცესში, რაც შეიძლება მეტი რელიეფები ჰქონდეს, რაც შეიძლება მეტი გარკვეულობა ახასიათებდეს.

ბოლოსა და ბოლოს ესაა არა მარტო პოლიტიკის საკითხი, არამედ კულტურისა და ერის ფიზიკურ სიცოცხლის საკითხიც.

ევროპა იბრძვის უფლების, მორალის, საკუთრებისა და ტალანტის ავტორიტეტით; რუსეთი კი, ანარქიის, უზნეობის, სილატაკისა და უნიჭობის ავტორიტეტით.

ევროპა არის სიმბოლო შემოქმედების, ინერგიისა და შრომის, რუსეთი კი ანგრევის, უნიათობისა და მუქთახორობის.

ეს ორი სხვადასხვა ძალა, ეს ორი სხვა და სხვა ქვეყანა თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საბედისწეროდ დაუპირისპირდა ერთმეორეს: მათ შორის გენერალური ბრძოლაა, ან ერთი უნდა დამარცხდეს ან მეორე.

თეორეტიულად ეს არის ბურჟუაზიული და სოციალისტურ პრინციპების ბრძოლა.

ჩვენ ვიცით, რომ სოციალიზმი დღემდე იყო წარმოდგენებისა და აზროვნების ქვეყანა; პრაქტიკულად ის არ გასცილებია ,,იკაროსის კუნძულის უკეთეს შემთხვევაში კი უტოპისტების კალამს.

საერთაშორისო ომისგან გამოწვეულმა რევოლიუციამ კი, სოციალისტები სარდაფებიდან თუ კაბინეთებიდან გარეთ გამოიყვანა და პრაქტიკულ სინამდვილის ფერხულში ჩააბა.

ზოგიერთი ჭირი თუ ოდესმე მარგებელია,-ომმა და რევოლიუციამ დიდი გაკვეთილი მისცა კაცობრიობას იმ მხრივ რომ, ყვითელ ბროშურებში დალაგებული სახელმწიფოებრივი პრინციპები, მთელი თავის უბადრუკობით ხელშესახები და დასანახი გახადა.

ამიერიდან სოციალიზმი რუსეთის ნანგრევების სიმბოლო იქნება.

ქართველმა დემოკრატიამ უნდა ისარგებლოს ამ ისტორიულ გაკვეთილით.

ჩვენ ვგქონდა შემთხვევა ოფიციალურ საქართველოს სახელით გვეთქვა, რომ კომუნისტურ აზიას ბურჟუაზიული ევროპა გვირჩევნია.

მას შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობა არ შეცვლილა, არ უნდა შეიცვალოს საქართველოს ორიენტაციაც; მით უმეტეს, როდესაც ასეთია მთელი კულტურული ქვეყნის მუშათა კლასის ორიენტაციაც, რაც უძლიერესი არგუმენტაციაა ჩვენი დემოკრატიის ხელმძღვანელთათვის.

თავის უკანასკნელ წერილში მცხოვანმა სოციალდემოკრატმა კაუტცკიმ ბურჟუაზიულ მთავრობასთან თანამშრომლობა ურჩია გერმანიის დემოკრატიას.

სოციალისტურ კონგრესზე ვანდერველდემაც განაცხადა: ,,მოსკოვში ეკონომიურ განვითარების ადგილი ფიზიკურ ძალას უჭირავს. ლონდონი და ინგლისის მუშა კი წარმოადგენს დისციპლინას, კეთილ-სინდისიერებას და შემოქმედ ძალას. სოციალისტებმა ერთ-ერთი სიმბოლოთაგანი უნდა ამოირჩიონო“ და ვანდერველდეც ლონდონს ასხვებს.

ივით ინგლისელი კომუნისტი ალენი, რომელიც პირადად გაეცნო საბჭოთა რუსეთს, ბოლშევიზმში პირწავარდნილ ძალადობის მეტს ვერაფერს ხედავს.

ნუ თუ ყოველივე ეს დამარწმუნებელი და მისაღები არ უნდა იქნეს ჩვენთვის?

სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ერთგვარი ხელოვნებაა, და გამარჯვებაც იმისია, ვისაც მეტი ინტუიცია აქვს.

ჯერ-ჯერობით კი ჩვენი რესპუბლიკა ფურიეს ტიპის ,,სოციალისტურ გარანტიების რესპუბლიკაა;“ ჩვენს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში ცოტა ბოლშევიკურიც არის, ცოტა ბურჟუაზიულიც და გარეშე შემყურე ძალებმა შეიძლება ის დასკვნა გამოიტანოს, რომ საერთოდ საქართველოს არავითარი პოლიტიკა არ აქვს.

ახალგაზრდა რესპუბლიკის საერთაშორისო ენერგია კი მეტს აქტივობასა და სასიცოცხლო ნიშნებს მოითხოვს.

ერის ინტერესი მოითხოვს რომ საქართველოში რუსეთის სამახსოვროდ ,,პლეხანოვის პროსპექტი“-ს მეტი არაფერი დარჩეს, და გადაჭრით ევროპის გზა ავიღოთ.

კ. მ.

## ემიგრაცია საქართველოში.

საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატაში მიუნჰენის ემიგრანტთა კავშირის შუამდგომლობა არის მოსული. შუამდგომლობა, რომელსაც ხელს აწერს გავშირის გამგეობის თავმჯდომარე ლ. მაიერი, გამგეობის წევრები გარდე და შტეინბაერი, აღნიშნავს რომ მიუნქენში შესდგა ისეთ პირთა კავშირი, რომელთაც სურთ საქართველოში გადმოსახლება და გერმანელთა დიდ ახალშენის დაარსება. კავშირის გამგეობამ დაადგინა სთხოვოს საქართველოს მთავრობას სავაჭრო სამრეწველო პალატის საშუალებით, მისცენ მათ უფლება გადმოსახლებისა. გერმანიის ცხოვრების განვითარება ისეთ სახეს იღებს, რომ მცხოვრებთა ნაწილი იძულებული ხდება გერმანიიდან გადასახლდეს.

გადმოსახლებულთა მიზანი იქნება: შექმნას საქართველოში დიდი ახალშენი, სადაც სამეურნეო საქმე მაღალ დონეზე იქნება დაყენებული. ვინაიდან ტეხნიკებიც სახლდება, შესაძლებელი იქნება მათი საქართველოს მრეწველობის საჭიროებისათვის გამოყენებაც. კავშირი სთხოვს პალატას აცნობოს მას, შეუძლია თუ არა კავშირს ჰქონდეს იმედი ახალ სამშობლოში საქართველოში გადასახლებისა, მიეცემათ თუ არა მათ სესხი საქართველოს მთავრობისაგან, და შეუძლიათ თუ არა გადმოსახლებულთ მიიღოს საქართველოში მიწა. შუამდგომლობაში აღნიშნულია სხვათა შორის გადმოსახლებულთა სპეციალობაც. არიან ქვის მთლელნი, მექანიკები, მეურნეები, მებაღეები და თავისუფალ პროფესიის პირები.

## უცხოელები საქართველოს შესახებ

სტამბოლის სომხური გაზეთი „ჟამანაკ“-ი სწერს:

„თბილისიდან სტამბოლში ჩამოსულმა მოკავშირეთა მისიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრთაგანმა, საქართველოს შესახებ განაცხადა:

„საქართველო ისეთი სახელმწიფოა, რომელიც სათანადო გარანტიებს იძლევა იმისათვის, რომ ის იქნება ყველაზე უფრო მკვიდრი და განმტკიცებული. თბილისის მთავრობა გარკვეულად და გადაწყვეტილად ანტიბოლშევიკურია. შეუბრალებლად აძევებს ადმინისტრატიული წესით იმათ, რომელთაც აქვთ რაიმე დამოკიდებულება ბოლშევიკებთან საიდუმლო პოლიციის რაზმი ფხიზელ თვალყურს ადევნებს არა საიმედო პირთ.

ბოლშევიკების მიერ განჯაში ჩადენილ ქლეტის შემდეგ, საზოგადოების აზრი მთლად საბჭოთა წინააღმდეგ არის მიმართული. საინტერესო არის რომ განსაკუთრებით მშრომელი მასა არის მთავრობის დამხმარე.

ბათომში აჭარლები იჩენენ ცოტა უკმაყოფილებას ახალი რეჟიმის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში ძალიან საეჭვოა, რომ მათ დამოუკიდებლათ შესძლონ რაიმე სცადონ მდგომარეობის შესაცვლელად, გარეშე ძალის დაუხმარებლად.

ინგლისელებმა ივნისის 7 ს. გადასცეს ქართველებს ბათომი და გავიდნენ. ამ ჟამად იქ იმყოფებიან მხოლოდ მოკავშირეთა კონსულები“.

## სომხური პრესა.

### ოსმალეთი

ოსმალთა გლოვის დღე.

სტამბოლის გაზეთ ,,აკშამ“-ის სიტყვით საზავო ხელშეკრულობის ხელის მოწერის დღეს ისლამის ყველა დაწესებულებებს, სავაჭროებს, ნავთსადგურებს, დამტვირთველებს და ხელოსნებს ნიშნად გლოვის უნდა შეეწყვიტნათ მუშაობა და წასულიყვნენ მეჩეთებში სალოცავად. გლოვის ასანიშნად გემები და ტრამვაი უნდა გაჩერებული ყოფილიყო იმ ადგილებში, სადაც იმყოფებოდენ, და არა მთელი დღით. უნდა შეეჩერებინათ მუშაობა, როგორც ამის შე-

## დაისი — № 13.

ნაშუადღევი. დასავლეთის ლურჯი კივილი.
კულისებიდან ჩაქუჩების მოდის ხმაური.
ლოჟაში სხედან კალიოსტრო და რადძივილი.
აელვარდება აშორდია—ცრუ აზნაური.

ასწიეს ფარდა. რუბინები არწივებს სცემენ.
[illegible]
[illegible]
—ო, [illegible]

[illegible]

ჰამლეტმა ბევრი ნილოები გამოიცვალა,
[illegible]

[illegible]

[illegible]

ვალერიან გაფრინდაშვილი.

## ქმრიანი ღვთისმშობელი.

გავიგე: შვილი გეყავს, ყოფილხარ ქმრიანი,
[illegible]

ო, ჩემო ძვირფასო! [illegible]

[illegible]

[illegible]

და როცა მოვიდეს [illegible]
[illegible]

რაჟდენ გვეტაძე.

## ქართული რიტმული.

### 2. მახვილი და რითმა

რიტმის გამმართველი სიტყვაში პირველ ყოვლისა მახვილია უთუოდ. ქართული მახვილის ბუნება ჯერ კიდევ არ არის შეცნეული სავსებით. იგი უცნაურია მეტად: იმდენად, რომ ზოგიერთი ვერც კი ამჩნევს ქართულს სიტყვაში მახვილს. ჩემი შეცნევით ქართული მახვილი არ არის არც ხრომატიული (როგორც მაგალითად ძველი ჰელლენური ენის) და არც ექსპირატორული (როგორც მაგალითად რუსული ენის): იგი შუათანაა ამ ორ მახვილ ხაზთა შორის: რამოდენიმეთ მელოდიური და რამოდენიმეთ „აძახული“. ამის დასამტკიცებლათ საკმაოა უბრალო ფაქტი: თუ ქართულად გამოთქვამთ ძველს ჰელლენურ სიტყვას, იგი ოდნავ დაჰკარგავს მელოდიურ სინელეს, თუ ქართულადვე გამოთქვამთ რუსულ სიტყვას, მას ოდნავ მოეცილება აძახული სიჩქარე.

ქართული მახვილი სხვა მხრით კიდევ უფრო უცნაურია. ქართულ სიტყვას არ აქვს განსაზღვრული მახვილი, როგორც მაგალითად ფრანგულს, საცა ყოველ სიტყვას მახვილი ბოლოს დაესმის. მაგრამ მეორის მხრით ქართულ სიტყვაში არც ისეთი განუსაზღვრელობაა მახვილისა, როგორც მაგალითად რუსულში, საცა თვითეულ სიტყვას თავისი საკუთარი მახვილი აქვს: ან თავში, ან შუაში, ან ბოლოში. ქართული მახვილის შესახებ ამ მხრით შეცნეულია მხოლოდ შემდეგი: თუ სიტყვა ორმარცვალოვანია, მას მახვილი პირველ მარცვალზე აქვს; თუ სიტყვა სამ ან მეტმარცვალოვანია, მას მახვილი აქვს ბოლოდან მესამე მარცვალზე. ეს საერთო დებულება გამომდინარეობს ქართული ლექსური თქმისაგან.

არის კიდევ ერთი მხარე ქართულს მახვილოვანში ჯერ კიდევ შეუცნეველი. ქართულს რიტმიულს სიტყვაში, გარდა მთავარი მახვილისა, არის კიდევ ოდნავი მახვილი, რომელიც პირველს თან ყვება. ეს მახვილი დაახლოებით მას გვაგონებს, რასაც გერმანულში ,,ნებენტონს“ უწოდებენ. რიტმიულად გამართულს სტრიქონში თუ არის მაგალითად ასეთი სიტყვა—,,გადავარდება“, მას მთავარი მახვილი მოსჭრის ასე: ,,გადავარდება“, მეორე მახვილი კი ასე: ,,გადავარ-დება“. საინტერესო აქ კიდევ ის არის, რომ მთავარი მახვილი ქართულში უფრო ,,აძახითია“ (როგორც რუსულში), ხოლო მეორე მახვილი კი მელოდიურია, (როგორც ძველს ჰელლენურში). სიტყვის ხელოვანისათვის ამის შეგნება ფასდაუდებელია. ეს მოვლენაა, რომელიც აძლევს რიტმიულს ქართულს ასეთს სიმშვენიერეს.

ლექსური თქმა უთუოდ მოითხოვს, რომ რიტმიული მახვილი დაესვას სიტყვას იქ, საცა პროზაული მახვილი ზის. ეს საერთოდ ტონური და სილლაბური წყობის მოთხოვნაა. მაგრამ რადგან ქართული წყობა არც მთლად ტონურია და არც მთლად სილლაბური, ზემოხსენებული მოთხოვნა ძვირად მაგრამ მაინც ჰკარგავს თავის სიმკაცრეს ქართულს ლექსურ თქმაში. ეს მით უფრო ადვილად ხდება, რომ ქართულ მახვილში ძველი მეტრული სისტემის ბუნებაცაა (მელოდიურობა,—როგორც ზევით იყო ნახსენები) მაგალითად: რვამარცვალოვან ან თექვსმეტმარცვალოვან ლექსურ სტრიქონში, საცა ტერფი ოთხმარცვალოვანია, იქ მახვილი მთავარი ბოლოდან მეორე მარცვალს დაესმის, მიუხედავათ იმისა, პროზაული მახვილი იქ არის თუ სხვაგან. მაგალითად რუსთაველის სტრიქონი: ,,ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ აბჯარ უნაგრისა“. ავიღოთ აქ სიტყვები: ,,მარგალიტი“ და ,,უნაგრისა“. პროზაული მახვილი ამ სიტყვებში ბოლოდან მესამე მარცვალზეა; რიტმიული კი ბოლოდან მეორეზე. ეს ხდება მისთვის, რომ აქ წყობა ხორეით არის გამართული, რომელიც თანდათან მესამე პეონში გადადის. სხვა წყობებში რიტმიული მახვილი ხვდება პროზაულს მახვილს. ამას ცალკე კვლევა ეჭირვება.

ზემონათქვამს დიდი მნიშვნელობა აქვს რითმისათვის. თუ მახვილი არ არის შეცნეული, არც რითმა იქნება ათვისებული. ამ მხრით ქართული პოეზია კურიოზებით არის სავსე. მითქვამს და ვიმეორებ: რუსთაველის გარდა საქართველოში არ არის არც ერთი ქართველი პოეტი, რომელსაც ამ მხრით მარცხი არ მოსვლოდეს. ავიღოთ მაგალითად თოთხმეტ მარცვალოვანი ლექსური სტრიქონი: ,,ბედი ჩემია და ბედისა მე ვარ იმედი“. აქ არის სამი ტერფი: ხუთმარცვალოვანი, ოთხმარცვალოვანი და ხუთმარცვალოვანი: ანუ: ანაპესტოხორეი, პეონი მეორე და ანაპესტოხორეი 1). სარითმო სიტყვას მაშასადამე მთავარი მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე უნდა ჰქონდეს. ეს მოთხოვნა კი ყოველ ნაბიჯზე ირღვევა ქართულს პოეზიაში. აიღეთ თუ გინდათ იოსებ გრიშაშვილის ,,შეითანბაზარი“. ეს ლექსი რამოდენიმით ჩვენს ჯგუფსაც კი მოსწონს, რომლისათვისაც გრიშაშვილის ნაწერს საერთოდ საშვალო ფასეულობაც არ აქვს. ამ ლექსში ბევრგან არის დარღვეული ზემოხსენებული მოთხოვნა, მაგალითად სარითმო სიტყვები: ,,გადანამწკრივი—ღვთაებრივი“. ლექსის წყობით აქ მთავარი მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა; რითმა კი ირღვევა, რადგან პირველს სიტყვაში მახვილი ხვდება ხმოვანს ,,ანს“, მეორეში კი ,,ენს“. ასეთი მარცხი ეხლაც ბევრს ემართებათ. ქართული პოეზიის ახალმა სკოლამ ამ მხრით რამოდენიმეთ მაინც საქმე გამოაკეთა.

თვითონ რითმის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. სარითმო სიტყვანი უნდა იყვენ რაც შეიძლება დაცილებულნი საზრისით და წარმოებით და რაც შეიძლება დაახლოებულნი ხმოვანებით. მაგალითად: ,,მამეც-ღამეც“ (ბესიკის რითმა). აქ სიტყვანი საზრისის მხრით ძალიან დაშორებულნი არიან: ღამესა და მოცემის შორის არაა პირდაპირი კავშირი; წარმოებითაც სხვანაირნი არიან, რადგან პირველი ზმნაა და მეორე სახელი არსებითი; ხმოვანებით კი ერთიმეორეს მეტად უახლოვდებიან, ამ მოთხოვნაში თავსა ჰყოფს ესთეტიური კანონი: მსგავსება და სხვაობა ერთსა და იმავე დროს: პირველი ჰქმნის ჰარმონიულობას, მეორე კი ხელს უწყობს, რომ მსგავსება არ გადავიდეს იგივეობაში (—უკანასკნელით იქმნებოდა ულოდნელობაც). თუ ამ პრინციპით გადავიხილავთ ქართულს რითმას, დავინახავთ უთუოდ, რომ ცხრა მეათედი ქართული რითმების გადასაყარია.

1) ხორეი იმდენათ, რამდენათ მეორე მახვილია შეცნეული.

### 3. რიტმის გამართვა.

რიტმის გამართვა ჰგულისხმობს სიტყვის ესთეტიურ თვისებას. ქართულში ხმოვანი ცოტაა, თანხმოვანი მრავალი. სიტყვის ხელოვანმა თავისებურ უნდა გამოიყენოს ენის შესაძლოებანი. ვერ ვიტყვი, რომ ქართველნი ხელოვანნი ამართლებდენ ამ მხრით თავის დანიშნულებას,

არქიტექტორი ყოველს ქვას არ აიღებს საშენებლათ,-ან თუ აიღებს გასწმენდს უთუოდ. ასე არ იქცევა ქართველი ხელოვანი: იგი იღებს ყოველნაირ მასალას და არც სწმენდს მას. ავიღოთ სიტყვა: „გვწვრთვნიან“. ამ სიტყვაში რვა თანხმოვანია ერთიმეორეს მიჯრილი. სიტყვა ისეა დამძიმებული, რომ მისი წარმოთქმა ყოვლად შეუძლებელია. ქართულმა ხშირად იცის თანახმოვანთა მიჯრილობა. რიტმიულ თქმაში ან სრულიად უნდა მოიშალოს ასეთი სიტყვა, ან და უნდა ხელოვნითი ხერხით გაიშალოს იგი. წარმოდგენილი გაქვთ ლექსიური სტრიქონი, საცა ასეთი სიტყვებით იყოს გამართული რიტმი: ,,მკვდრებს“, ,,გრძნობებს“, ,,მტკვრის!! ქართულს ლექსში ხშირად გვევლინება ასეთი მაჯლაჯუნა სიტყვის შემბორკველი და გამათახსირებელი.

საცა შესაძლოა ასეთი სიტყვის გაშლა, იქ ქართველი პოეტი ასეთს შესაძლოებას გაურბის. ამ მხრით დამახასიათებელია ქართული ნათესაობითში. აიღეთ სიტყვა „მინდორი“: ლამაზია და ძალზე ხმოვანი. ნათესაობითში ამ სიტყვას ასე ამახინჯებენ: „მინდვრის“, საცა ოთხი თანხმოვანი დაერთვის ერთიმეორეს სიტყვის სატანჯველად, მაშინ, როცა ამ სიტყვის სხვანაირი მოზმა კიდევ უფრო გაამშვენებდა მას: „მინდორის“. როცა „სალომე“ ვთარგმნე, გავშალე ბევრი სიტყვა. მაგალითად: ,,მკვდრის“ მაგიერ, რომელიც ენას ჰოსტეხს წარმოთქმისას, მე ვიხმარე ,,კვდარის“ (,,მანი“ მოვაცილე, რადგან არ ისმის),-და სიტყვა რიტმიულად გაიშალა. ეს არ მიწონებია ვილაც მარუთა შუამდინარელს, მაგრამ რა მოეთხოვება ისეთს ფინჩს, რომელსაც ფსევდონიმიც ვერ გამოუგონია არა-გამაკრეტინებელი!? ხმარობენ კიდევ: „წყლის“ რაც პირდაპირ საშინელებაა, და მრავალს სხვას.

სახებ ჩიშს გამოსთქვამდა „ჟურნალ დორიან“-ი. იგი შენიშნავდა, რომ ესეთი შეჩერება შეცდომაა, რადგან სიამბოლში უცხოელნიც არიან, რომელნიც „პატივსცემენ რა სხვათა გლოვას, და არ მოისურვებენ, რომ ოსმალთა გლოვის მიზეზით ზარალი მიაყენონ თავიანთ საქმეებსა“-ო.

## საბერძნეთი

**მეფე ალექსანდრეს მოკვლის განზრახვა.**

ბერძნული პრესსა იტყობინება მეფე ალექსანდრეს მოკვლის განზრახვის შესახებ. მეფე ალექსანდრეს, დიმულჯენის რკინის გზით მოგზაურობის დროს, დედეაღაჯის და ბედიცლის ლიანდაგის ქვეშ დაუდვიათ ქვეშ დიდ ყუმბარა, რომელიც უპოვნიათ მატარებლის გავლის. 10 წუთით ადრე. ჰფიქრობენ, რომ ბოროტმოქმედნი ბულგარები უნდა იყვნენო.

## გერმანია

**სავალდებულო სამხედრო ბეგრის მოსპობა გერმანიაში.**

„ქოლოვრდი ძაინ“-ში დაბეჭდილია ბერლინიდან მიღებული დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ რეიხსტაგმა დაამტკიცა გერმანიაში სავალდებულო სამხედრო ბეგრის მოსპობის პროექტიო.

**სომხეთის საზღვრების საკითხი.**

სამხედრო გეოგრაფიული საზღვრების გადასაწყვეტათ ევროპაში გაემგზავრა დელეგაცია, რომელშიაც შედიან პროფესორი ხ ჩაჩრიანი, ვ. ფაფაზიანი და ა. ბაბხელიანი—(„აზხატ“).

# კომუნისტების დაპატიმრება სოხუმში.

სოხუმიდან აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე დეპეშით ატყობინებს იუსტიციის მინისტრს, რომ 17 მარიამობის თვეს, ღამით, შეპყრობილ იქნა თხუთმეტი კომუნისტი, მათ შორის სამი ქალი, რომელთაც აღმოაჩნდათ ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი „ნიკოლოზის“ და „კერენსკის“ ფული, აგრეთვე გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ ბოლშევიკური ლიტერატურა, წონით სამი ფუთამდე და მანდატები მათი პიროვნების დასამტკიცებელი მიცემული ტუაპსეს რევკომის მიერ. ერთს მათგანს—ვლადიმერ საზანოვს, აღმოაჩნდა 200.000 მანეთი და პიროვნების მოწმობა, სადაც აღნიშნულია, რომ ტუაპსეს რევკომი ჰგზავნის მას ქ. სოხუმში—პარტიულ მუშაობის გასაჩაღებლად. თხუთმეტივე დატუსაღებული არიან და სწარმოებს სათანადო გამოძიება.

საგანგებო ზომებით ლიკვიდაცია ეყოს ვრანგელის ფრონტს. ამ მიზნით კონფერენცია მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს ძველებური სისწორით და სისწრაფით ხელი შეუწყონ პარტიულ მობილიზაციის ცხოვრებაში გატარებას. ორგანიზაციებმა უნდა წამოაყენონ: ვრანგელის ფრონტზე მყოფ ჯარის დახმარების საკითხი და გააჩაღონ აგიტაცია გლეხებში წითელ ჯარში ჩაწერის მიზნით.

**ყაზახთა აჯანყება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.**

— ეკატერინოდარიდან ჩამოსულთა სიტყვით (ტიხორეცკაია-,ცარიცინ-ბაქოს გზით) ყუბანში ყაზახთა შეიარაღებული აჯანყება დაწყებულა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყება უფრო მოდებულია ბატალპაშინის და მაიკოპის რაიონებში. აჯანყებულებს აუღიათ მაიკოპი და მთელი მთიანი ნაწილი მათს ხელშია. მიმოსვლა „მინერალურ წყლიდან“ დონისა და ყუბანის ცენტრთან მოწყვეტილია. სადგური „ნევინომისკაია“ აჯანყებულების ხელშია. ამბობენ, ყაზახებს „მინერალური წყლის“ სადგურიც დაუკავებიათ და კისლავოდსკის გარეშემო ბრძოლა სწარმოებსო. გზის წახდენის გამო რეგულიარი მიმოსვლა კავკავსა და პეტროვსკ შუა შეწყვეტილია.

## ქართველები ჩრდილოეთ კავკასიაში.

აგვისტოს 5 მოხდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენელების კონფერენცია. დაესწრო შემდეგი ქალაქების ქართველ მოსახლეობის წარმომადგენელები: სოჭ ს. ტუაპსის, ნოვოროსისკის, ეკატერინოდარის, რომანოვის ხუტორის, სტავროპოლის, მაიკოპის, არმავირის და ლაბინსკაიასი კონფერენცია არმავირში მოიწვიეს. ამ კონფერენციაზე აირჩიეს დელეგატი, რომელსაც დაევალა აცნობოს რესპუბლიკის მთავრობას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ქართველები ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამავე დროს კონფერენცია შუამდგომლობს ჩრდილოეთ კავკასიისათვის რესპუბლიკის ელჩის დანიშვნისა, ქართველების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა მთავრობა ანგარიშს არ უწევს რუსეთთა და საქართველოს შორის შეთანხმებას. ქართველი მოქალაქეები ბოლშევიკებისაგან შევიწროებას განიცდიან რუს მოქალაქეებთან ერთად. მათ არ ათავისუფლებენ სხვა და სხვა ვალდებულებათაგან, ქართველების მობილიზაციის გამოწვევის წინააღმდეგ გამოცხადებული პროტესტი უშედეგოდ რჩება: ქართველებს მობილიზაციით იწვევენ იმ გვარივე წესით, როგორც სომხებს და ლიტველებს. უცხოეთის ქვეშევრდომთა დასაცავათ ეწყობოდა კონსულთა საბჭო, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ იგი დახურა. სულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 20 ათასი ქართველი. დანარჩენ 5.000 ქართველ მცხოვრებთა წარმომადგენლებს არ ქონდათ საშუალება დასწრებოდნენ კონფერენციას სხვა და სხვა მიზეზების გამო. ჩრდილოეთ კავკასიიდან, და კერძოდ, ყუბანიდან კონფერენციაზე დასწრება ძალიან გაძნელებული იყო, ქართველებს საზღვრებზე კვირაობით აკავებდნენ. ეკატერინოდარის ჩრეზვიჩაიკა არც კავკავის ჩრეზვიჩაიკა ჩამორჩება ჩრდილო კავკასიდან 20,000 მან მეტის წამოღება არ შეიძლება. (ს. დ. ს. ს. გ.)

## საქართველოს რკინის გზების მთავარ სახელოსნოების შრომის ნაყოფიერება.

საქართველოს რკინის გზების მთავარ სახელოსნოების უფროსმა შეადგინა მოხსენება მუშაობის იმ ნაყოფიერების შესახებ, რომელიც სახელოსნოებმა 1919 წ. იანვრის 1 დან 1920 წ. ივნისის 1-მდე გამოიჩინეს. თავის მოხსენებაში სახელოსნოების უფროსი აღნიშნავს, რომ იმის და მიხედვით, თუ როგორ იღებდა ნორმალურ სახეს სახელმწიფოს ცხოვრება, მთავარ სახელოსნოების მუშაობაც თანდათან უმჯობესდებოდა. რომ აწეულიყო სახელოსნოების ნაყოფიერება 1919 წლის დამლევს, ე. ი. დეკემბერში საღამოი, ზედმეტ დროს მუშაობდნენ. პირველად ორთქმავალთა საამქროში, შემდეგ 1920 წ. იანვრის პირველიდან საქვაბო საამქროში, ორი თვის შემდეგ კი კვირაში ზედმეტ ორ დღეზე არა ნაკლებ მუშაობდნენ ყველა დანარჩენ საამქროში. საღამოს მუშაობამ საქმე წინ წასწია. თუ ჩვეულებრივ დროს სახელოსნოს ერთი თვის განმავლობაში 1 ნახ. მატარებლის შეკეთება შეეძლო, ზედმეტ სამუშაოს საათების შემოღებიდან უკვე ყოველი სახელოსნო თვეში 4—5 ორთქმავალს შეკეთებას ასწრებდა. შემდეგ მოყვანილია ის შედეგები, რომელსაც ყოველმა საამქრომ მიაღწია: ორთქმავალთა შემკრებ საამქროში შეკეთებულია წაბმებით 42 ორთქმავალი, საგანგებოდ შეკეთებულა 28 ორთქმავალი, ერთი კახეთის რკინის გზის ორთქმავალი, სამი სომხეთის და ერთი თავრიზის. ამის გარდა გადაუკეთებიათ და მოუწყვიათ რამდენიმე ორთქმავალი, რომლებიდანაც ერთი გადაუკეთებიათ სარეცხ-აბანოსათვის, მეორე კი სადეზინფექციო შემადგენლობისათვის. შესრულებულა აგრეთვე სამეურნეო ხასიათის მუშაობაც. ამქარში 320 მუშა და ხელოსანი მუშაობს.

საქვაბო საამქროში სულ 40 ქვაბი შეკეთებულა. შეუკეთებიათ აგრეთვე ძეგვის ხიდი და სხ. სახარატო საამქროში 25.900 ცალი სხვა და სხვა ნივთი გაუკეთებიათ. გაკეთებულია ორთქმავალის სხვა და სხვა ნაწილები, ტვიფრები, ვაგონის ნაწილები, სანიავოები, და სხვ. ამავე საამქროში მოხდა ქვაბებში ქვანახშირის მტვერის დაწვის ცდა. ცდამ დაგვანახვა, რომ თუ მოწყობილება გაუმჯობესებული იქნება ქვა ნახშირის მტვერის გამოყენებას საკითხი დადებითად იქნება გადაწყვეტილი. სახარატო საამქროსთან არსებობს ვაგონის თვალის სახარატოს განყოფილება, რომელმაც აღნიშნულ დროს განმავლობაში 4072 შესწორებული ორთქმავლისა და ვაგონის ფერდელი გამოუშვა. სულ სახარატო საამქროში საშუალოდ 453 ხელოსანი და მუშა ითვლება (დ. ს.)

# ახალი ამბები

## მთავრობაში

— ა. ჩხენკელი 23 მარიამობისთვეს დილის მატარებლით ბორჯომში ჩამოვიდა აკ. ჩხენკელი რომელიც აბასტუმანში გაემგზავრა.

## სამინისტროებში

— **ბორჯომის წყლის საზღვარ გარეთ გატანა.** მიწად მოქმედების კონტრაგენტმა კონსტანტინოპოლში ბორჯომის წყლის განყოფილება გახსნა. ასეთივე განყოფილება იხსნება ნიუ-იორკში. განზრახულია აგრეთვე განყოფილებათა გახსნა ლონდონსა და სხ. ქალაქებში. აგვისტოს 19 კონსტანტინოპოლში 30,000 ბოთლი ბორჯომის წყალი გაიგზავნა.

— **სოციალური დახმარება** სოციალურ დახმარების განყოფილებამ აცნობა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს, რომ იგი აღნიშნულ ორგანიზაციებიდან ხშირად (ღებ) შუამდგომლობას ამა თუ იმ პიროვნებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. განყოფილება აცხადებს, რომ შრომის სამინისტროში თხოვნების მიღება შეწყვეტილია. თხოვნები მმავალში უნდა გადაეცეს, თანახმად თხოვნილის ბინადრობისა, ან ქალაქის და ან ერობის თვითმართველობას. იმ თხოვნებს, რომლებსაც პირდაპირ შრომის სამინისტროში შეიტანენ, არ განიხილავენ.

## დამფუძნებელ კრებაში

— **ე. პ. გეგეჭკორის ბიუსტი.** დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ აცნობა პრეზიდიუმს, რომ სკაბიჩევმა შესწირა დამფუძნებელ კრებას საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის ე. პ. გეგეჭკორის ბიუსტი. ეს ბიუსტი გადატანილ იქმნება დამფუძნებელ კრების ერთ თვალსაჩინო ადგილზე. ლიტვის კონსული. ბაქოდან დაბრუნდა ლიტვის კონსული.

— **საპენსიო წესდება.** აგვისტოს 18 მოხდა პირველი სხდომა დამფუძნებელ კრების საპენსიო კომისიისა, რომელსაც ყველა უწყებისათვის საპენსიო წესდების შემუშავება დაევალა. კომისიის თავჯდომარედ ასათიანი აირჩიეს. ამხანაგად გურული. პრეზიდიუმის პირველ სხდომას დაევალა შეკრიბოს მასალები საპენსიო წესდების შესახებ. მასალების შეკრების შემდეგ კომისია შეუდგება წესდების განხილვას.

— **დამფუძნებელ კრების შენობის შეკეთება.** განზრახულია ახლო მომავალში შეუდგენ დამფუძნებელ კრების შენობის შეკეთებას. შეაკეთებენ ყველა ფრაქციის ოთახებს, კანცელარიას, სხვა და სხვა კომისიის ოთახებს, და პრეზიდიუმის ბინას. ნაწილობრივ შეაკეთებენ აგრეთვე თეთრ დარბაზსაც.

— **მისალმების დეპეშა დამფუძნებელ კრებას.** ქ. სოხუმის და სოხუმის ოლქის პროფესიულ კავშირთა კონფერენცია მიესალმება რა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას, თანაც აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობაში, რომელიც მიმართულია დემოკრატიულ წყობილების დამტკიცებასა და რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად საქართველოს ტერიტორიაზე.

## ერობა.

— **ერობის ცხოვრება.** ერობათა კავშირის გამგეობამ დაადგინა: გახსნას კურსების წვრილ საერობო ერთეულების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად. ამ კურსების მოწყობის საკითხის განსახილველად საგანგებო კომისია იქნება მოწვეული. სხდომას, რომელიც აგვისტოს 28 შესდგება დაესწრებიან: ნ. ელიავა, კონიაშვილი, მალანია, ს. აფლიანი და გრ. გველესიანი (დ. ს).

## სასამართლოში.

— **პალატის ბრალმდებლის მ. ა. ტატიშვილის გამგზავრება.** პალატის ბრალმდებელი მ. ა. ტატიშვილი გაემგზავრა დასასვენებლად ორი თვით კოჯორში, მისი მოვალეობის ასრულება დაეკისრა პროკურორის ამხანაგს ა. ი. ყანჩელს.

— **იუსტიციის მინისტრის ბრძანებით** ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგად დაინიშნა ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი გ. პ. დადიანი.

— **მომღერალი ქ ლი კოშიცის საქმე** თბილისში კარგად ცნობილ მომღერალ ქალმა კოშიცმა, რომელიც პასუხის გებაში იყო მიცემული ბრილიანტების ქურდობისათვის და გამართლებულ იქმნა, საჩივარი აღძრა პალატის პროკურორის წინაშე მე 2 უბნის გამომძიებელმა. ბადაშვილზე. კოშიცი საჩივარში აღნიშნავს, რომ გამომძიებელი ბადაშვილმა დაკითხვის დროს უკანონობა ჩაიდინა და ჩამოართვა მას ისეთი ხელწერილი, რომლის უფლება მას არ ჰქონდა. პალატის პროკურორმა აღძრულ ოქმის გამორკვევა და გამოძიება მიანდო მის ამხანაგს ვ. ქელბაქიანს, რომლის გამოძიებიდან სჩანს, რომ ქ-ნ კოშიცის მიერ აღძრული ბრალდება ბადაშვილის ადმი უსაფუძლოა და უკანონო.

— **იუსტიციის სამინისტროში.** იუსტიციის მინისტრის ბრძანებით პალატის ბრალმდებელის ამხანაგი კანდელაკი გამოწვეულ იქმნა ბათომიდან საქმეებისა გამო, სადაც ის იყო წასული სასამართლო დაწესებულებათა მოსაწყობად.

— **იუსტიციის სამინისტროსთან** არსებულ კანონთა გადამსინჯავ კომისიამ საზაფხულო არდადეგების გამო შესწყვიტა თავისი მუშაობა ამა წლის პირველ ოქტომბრამდის.

ქ. ბათომის მცხოვრებნი შუამდგომლობენ ბ-ნ იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა მათ ქალაქ ბათომში დაუნიშნონ ნოტარიუსად კონსტანტინე ალექსის-ძე მახარაძე, რომელიც მსახურობს ბათომში 28 წელიწადი და ძლიერ კარგი მხრით იცნობს მას იქაური საზოგადოება.

## მუშათა ცხოვრება.

— **ჭიათურის მუშები.** შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდამ აცნობა ჭიათურის მუშათა მაგიდას, რომ ადგილობრივ მუშების სურსათის მხრივ დასაკმაყოფილებლად იქ გაგზავნილია საჭირო რაოდენობის ქერი და ხორბალი.

— **შეშა მუშებისათვის.** შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდამ აცნობა ქალაქთა კავშირის სატყეო განყოფილებას, რომ მუშების შეშის მხრივ უზრუნველყოფისათვის საჭიროა შეშა მოწოდებულ იქნას შემდეგი წესით: სექტემბერში 600 ფუთი, ოქტომბერში 700 ფუთი ნოემბერში 860. დეკემბერში 400 ფუთი იანვარში—300 ფუთი და თებერვალში —200 ფუთი მუშათა მაგიდა თანახმაა დას მხადებლად შეშის საჭირო ავანსი გაიღოს.

— **მუშათა დელეგაცია.** საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა მიმართა შრომის სამინისტროს რათა სამსახურიდან ადგილისა და ჯამაგირის შენახვით გაათავისუფლოს რუსეთში გასაგზავნი დელეგაციის შემდეგი წევრები: ს. ხვიჩია, (საქ. არტ. სამმართველო) გ. პაპუაშვილი, (ქუთაისის რკინის გზის მეშინაე) და გ. ტიროტაძე (სახალხო საქმის ასოთ ამწყობი).

## სატარიფო პალატაში.

— **სატარიფო პალატაში.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე გამოიმუშავა ფოთის გადამტვირთავ მუშების შრომის ჯილდოს რაოდენობა.

## რკინის გზაზე

— **მატარებლის მიმოსვლა.** რკინის გზის ექსპლოატაციის ტეხნიკურ განყოფილების უფროსმა გამოიმუშავა სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის ახალი ფასები: რომელიც უნდა შემოიღონ სექტემბრის პირველ რიცხვებიდან. წარსულ წლების მგზავსათ №3 და №4 მატარებელი ივლის ბათომამდე. პროექტის თანახმად მატარებელი №3 თბილისიდან გავა დილის 9 საათზე და ბათომს მივა საღამოს 11 საათზე, მე-4-ნომერი მატარებელი ბათომიდგან გამოვა დილის 6 12 წ. საათზე და თბილისს მოვა საღამოს 10 საათზე. მე 7 და მე 8 ნომერი მატარებელი გავა არა ბათომის არამედ ფოთისაკენ.

## სურსათი.

— **ბაზრის ფასები.** თანახმად სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობებისა, ამ ჟამად ბაზარზე შემდეგი ფასები არის: გირვანქა კარაქი 280 მან.; გადამდნარი ერბო—300 მან; გირვანქა ყველი 120-140 მ.ნ. ათი კვერცხი—110 მან; თეთრი პურის ფქვილი—3600 მან; ადგილობრივი ფქვილი—1800 მან; სიმინდის ფქვილი—1500 მან.

## ფოთი

— **შხუნის ჩაშვება.** ფოთში წყალში ჩაუშვეს ქუთაისის საზოგადოების დიდი საბარგო გემი ამ დღეებში კიდევ ერთ გემს ჩაუშვებენ „ცხენის წყალს“. (დ.ს.)

— **ჰაეროპლანების შესყიდვა** თანახმად სამხედრო საინჟინერო უწყების ცნობისა იტალიაში საქართველოს საჭიროებისათვის რამოდენიმე ჰაეროპლანი შეუსყიდნიათ. ეს მანქანები გამოჩენილ ანსალდოს ქარხანაში შეუძენიათ. ეს ქარხანა ამ ჟამად მთელს მსოფლიოში საფრენ მანქანების დამამზადებელ საუკეთესო ქარხანად ითვლება.

საქართველოს მთავრობის მიერ შეძენილი ჰაეროპლანები ტეხნიკის უკანასკნელს სიტყვას წარმოადგენს. ჰაეროპლანის სიჩქარე საათში 220 კილომეტრს უდრის, ყოველ მათგანს აქვს რადიოსადგური ფოტოგრაფიულ მოწყობილობით და სხ. აპარატებს საუკეთესო მოტორები აქვს. სხვათა შორის იუწყებიან: ვინაიდან გზაში არ არსებობს საავიაციო ბაზები, მაჭავარიანის ტურინიდან საქართველოში ჰაეროპლანით გადმოფრენის განზრახვა შემდეგისათვის გადა დო.

## ვაჭრობა-მრეწველობა.

— **სავაჭრო დამოკიდებულება.** საქართველოში მყოფმა გერმანიის წარმომადგენელმა გრაფმა ლრიუფელმა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას წარუდგინა გერმანიის ფირმის ცნობები და სთხოვა ხელი შეუწყოს საქართველოსა და გერმანიის სავაჭრო დამოკიდებულების განვითარებას.

— **სავაჭრო-სამრეწველო პალატა ბათომში.** საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატამ დაადგინა გახსნას ბათომში თავისი განყოფილება. ამ მიზნით განზრახულია ბათომში ჯერ კიდევ ინგლისელების დროს არსებული ბათომის სავაჭრო-სამრეწველო პალატის გადაკეთება.

# სხვა და სხვა ამბები.

**რუსი გადასახლებულნი.**

22 აგვისტოს თბილისიდან სალოღლში გაიგზავნა მატარებლით დათხოვნილი რუსი მოსამსახურეები მათი ოჯახობით. ფოილოს ხიდით იგინი ბაქოს გაემგზავრებიან.

**ვიკერის გამგზავრება.**

ნიერის მახლობელ აღმოსავლეთ დამხმარე კომიტეტის მდივანი ბ. ვიკერი ერევნიდან დაბრუნდა და გუშინ გაემგზავრა ბათომს.

**ავსტრიის ტყვეები.**

25 აგვისტოს თბილისიდან ბათომს გაიგზავნენ.

**ამერიკის კომიტეტი.**

ლტოლვილებზე მზრუნველი ამერიკის კომიტეტი ერევნის ნაცვლად თბილისში იწყებს მოქმედებას.

**მაზუთის მაგიერ ნახშირი.**

15 მარიამობისთვიდან სათბობ მასალი შემცირების გამო საქონლის მატარებლები ქვა-ნახშირით მოძრაობს. მაზუთით მხოლოდ სამგზავრო მატარებლები იმგზავრებენ.

**მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტა სომხეთში.**

სათბობ მასალის უქონლობის გამო სომხეთის გზაზე რკინის გზის მოძრაობა შეჩერდა. ს. სანაინიდან ექსპლოატაციის უფროსმა გ. აბელიშვილმა უკვე მოახდინა განკარგულება, რომ სომხეთში გასაგზავნი საქონელი არ მიიღონ სადგურებმა.

# ფელეტონი

ს. დ. ს.

## მოსკოვის ცნობები

**ბრესტ-ლიტოვსკი პოლონელებმა აიღეს.**

აგვისტოს 22 ლომჟის რაიონში ჩვენი ჯარი ებრძვის მტერს, რომელიც ქ. ოსტროვში ჩრდილოეთით თანდათან ანვითარებს შეტევას. ბრესტლიტოვსკის მიმართულებით ჩვენებმა დასტოვეს ქალაქი ბრესტლიტოვსკი (დამახინჯებულია) აღმოსავლეთით და სორდში (?) ხდება თავგანწირული ბრძოლები გალიციის რაიონში ჩვენი ჯარი გამოვიდა (დამახინჯებულია) ხაზზე მდინარე ზოლოტაია ლიპასთან და იბრძვის მის გადასავალთან- ყირიმის ფრონტზე ორეხოვის რაიონში ჩვენი ჯარი იგერიებს თავგანწირულ შეტაკებას და ბრძოლით წინ მიიწევს.

**ბოლშევიკების კონფერენციის რეზოლიუცია ვრანგელის საფრთხის ახლოდ ნად.**

მოსკოვის კონფერენციაზე ბუხარინის მოხსენების შემდეგ რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობისა და დღევანდელი მომენტის მიზნების შესახებ ასეთი შინაარსის რეზოლიუცია გამოიტანეს. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დასავლეთის ფრონტზე წითელ არმიელები მარცხდებიან პოლონეთისადმი საფრანგეთის მიერ აღმოჩენილ დახმარების გამო და ამავე დროს ვრანგელის ფრონტიც სერიოზულ სახეს ღებულობს და ყუბანის პურისა და დონის ნახშირის დაკარგვით გვემუქრება (დამახინჯებულია) პარტიულ კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია ყოველ მხრივ დახმარება აღმოუჩინოს დასავლეთის ფრონტს და ჯარის ზურგიდან მიღებულ

იოსებ გრიშაშვილი იმავ „შეითანბაზარში“ ასე ბორკავს სტრიქონს: არ მსურს მტკვრის ტალღამ“. ნუ თუ ვერ შესძლო „მტკვრის“ მაგიერ „მტკვარის“ ეხმარა და რიტმიული დენა ოდნავ მაინც შეემსუბუქებია?!

მეორე საშუალება სხვა სახისაა. თუ არ მოხერხდა დაბორკილი სიტყვის გაშლა, იგი ხმოვან სიტყვებში მაინც უნდა ჩაისვას; სიტყვას მაგნეტური ძალა აქვს და მეორე სიტყვაზე იჩენს გავლენას. სრულიად შეუწყნარებელია როცა დაბორკილი სიტყვა რომელიმე სხვა ასეთს მძიმე სიტყვას მიჰყვება. შეუწყნარებელია მაგალითად ასეთი სტრიქონი: „ისე სავსე უხვ გრძნობებით“ (გალაკტიონ ტაბიძისა). აქ ორი სიტყვა ერთდება: „უხვგრძნობებით“ და ექვსი თანხმოვანის ერთიმეორეს დართვით სტრიქონი სრულიად ნადგურდება. ან და გრიშაშვილის; „ამჩატდი თვით“: აქ ერთი სიტყვა მეორეს ბორკავს.

არის კიდევ სხვა ხერხიც. შესაძლოა ლექსიურ სტრიქოსში მოხვდეს დაბორკილი სიტყვა, მაგრამ არასდროს იმა სიტყვით არ უნდა იწყებოდეს სტრიქონი. პირიქით: სადაც ასეთი სიტყვაა, იქ სათავეში ნამდვილი რიტმიული სიტყვა უნდა მოაქციო, რომ მისმა გაქანებამ ეს დაბორკილი სიტყვა ინერციის ძალით თან გაიტანოს. მაგალითად: „გაშმაგებული მკვლელი ბრძოლაში“. აქ პირველ სიტყვას გააქვს თავისი ენერგიით დანარჩენი ორი სიტყვა. პირიქით რომ იყოს, რიტმიული დენა ძალზე შეიბორკებოდა: „მკვლელი ბრძოლაში გაშმაგებული“. ქართველი პოეტი ხშირად მარცხდება ამ მხრით. შეუძლებელია მაგალითად ასეთი დაწყება: „მკვდრეთით აღდგომით ჩემი გრძნობა“ (ს. აბაშელისა); „მთრთოლვარე ტანსა“, „მკლავით ვესწრაფი“ (შ. ამირეჯიბისა).

საერთოდ: სჯობს ლექსურ სტრიქონში პირველი სიტყვა იქნეს ძალზე რიტმიული. ამ მხრით მიუღებელია სტრიქონის დაწყება ერთმარცვალოვანი სიტყვით ან და კიდევ უარესი ერთმარცვალოვანი სიტყვებით. ეს თავშივე ამძიმებს რიტმიულ დენას. ივანე ყიფიანს მაგალითად აქვს ერთი გაქანებული ლექსი „ზამთარი“. პირველი ხანა ძალზე გაქანებულია: „უეცრად მოვიდა შეშლილი მოხუცი“ და სხვა; მეორე ხანაში კი გაქანება იბორკება ერთმარცვალოვანი სიტყვებით დასაწყის: „გრძელ გიშრის კუბოში“, „ცისხლს სწორედ მძინარ სახლს“. ხარიტონ ვარდოშვილს ასეთი ცუდი დაწყება აქვს: „ზღვის ლურჯ სივრცეში“. შალვა კარმელსაც: „თეთრ ყვავილებით“. ს. ფაშალიშვილს კი არ იცის რა გამოუდის: „მაშ წავ არა“: გამოდის: „მაშმაგა რა“. მაგალითების გაგძელება კიდევ შეიძლება.

რიტმის გასაშლელად ხშირად განმეორებას მიმართავენ. ეს ხერხი მეტად ძნელია და მხოლოდ მეტრმა უნდა მიმართოს მას. ჩვენს პოეზიაში ეს ხერხი იოსებ გრიშაშვილმა პირდაპირ გაამასხარავა. მის წიგნში ძვირად ნახავთ ისეთს ლექსს ან ისეთს სტრიქონს, რომ გამეორება გამეორებას არ მოსდევდეს ერთი მეორეზე უარესი. „ვაილიმა ცის ვარსკვლავმა, ცის ვარსკვლავმა ვაილიმა“; „კრთის და ცეკვავს, ცეკვავს და კრთის“; „მზეც კი.. მზეც კი არ ცეკვავდა“; „და მეც. . და მეც შენს გარშემო“; „შენც... შენც მეთქი, ტუჩს კონად ჰკრავ ტუჩს ემბაზში ამონაკრთომს“; და ათასი კიდევ სხვა.

აქ რიტმის გაშლა კი არ არის, არამედ ცალიერი ადგილების „ამოვსება“. ამავე დროს ისე ცუდათ არავინ ხმარობს კავშირს „და“-ს, როგორც გრიშაშვილი: სად გინდა, რომ ეს „და“ არ იყოს?! ლექსში „შორეულს“ მაგალითად, საშინელი დაწყება სტრიქონების: „და ისე წახველ“; „და დამრჩა შენ“; „და დამრჩა ლანდი“; „და დამრჩა მხოლოდ“; „და ის ოცნება“; „და შენ არ გეტრფი“; „და თვალი ლარი“ ამ საშინელს კაკაფონიაში მას კარგი შეგირდი ჰყავს, ს. ფაშალიშვილი. შეადარეთ მისი ლექსი „ოქროს ჯვარი“ გრიშაშვილისას: „და შენ ძალგიძს“; „და მაგ წყლით“; „და ეგ-ფარდა“; „და ნათლად სჩანს“; „და მის ლევა“; „და მე მიყვარს“. აქ რიტმზე ლაპარაკი ზედმეტია. აღსანიშნავია, რომ გრიშაშვილიცა და ფაშალიშვილიც ბოლო ხანებში ცოტა ადგილს უთმობენ ლექსში ასეთს უბედურ „ცინდრიკს“.

გრიგოლ რობაქიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი კორესპონდენტები

## ბარისახო.

(ხევსურეთი)

ხევსურეთის ბუნებრივ სიმაგრესა. და მის მნიშვნელობის შესახებ საქართველოსთვის ლაპარაკი არ მოგვიხდება. არც მათს ზნეობრივ შესახებ საქართველოსთვის ლაპარაკი არ მოგვიხდება. არც მათს ბელადობასა და ვაჟკაცობაზე.

მახსოვს, რუსის მფლობელობის დროს ერთხელ როგორ იწვიათ გუბერნატორი სვეჩინი. უნდა გენახათ რა რიხითა და საყვედურით შეხვდნენ მას და წარუდგინეს თხოვნა კი არა, პირდაპირ მოთხოვნა სხვა და სხვა თავიანთ საჭიროებაზე. კადნიერებასარაჩვეული გუბერნა. ფრიად განცვიფრდა მათი პირდაპირობით და გულადობით. მაგრამ საგულისხმო ეს გარემოება კი არ არის, არამედ ის, რომ იმ მოთხოვნილებითვე თამამად შეუძლიანთ მათ მომართონ ჩვენ, ვინაიდან იმ დღიდან დღევანდლამდე იოტის ოდენად არა შეცვლილა რა მათს ტვირთ-მძიმე ცხოვრებაში.

მათი მოთხოვნილებანი კი აი რაში გამოიხატება.

პირველი—უგზობა. ასი წლის მფლობელობის დროს ვერაგმა რუსეთის მთავრობამ უბრალო გზაც კი ვერ გაიყვანა ამ საუცხოვო მდიდარ კუთხეში და მოსწყვიტა ეს უნიჭიერესი და ბუნებით ლაღი. ხალხი კულტურასა და ცივილიზაციას. რა მადნეული რა წყლები არ გნებავთ, რომ ხევსურეთში არ იპოვოთ. უგზობამ კი ეს კუთხე ლამის არის ველურობამდი მიიყვანოს. მეორე მოთხოვნილება ხევსურებისა გახლავთ—სკოლებისს გახსნა: მთელ ხევსურეთში არც ერთი სკოლა არ მოიპოვება. გახლდათ ერთი სკოლა ბარისახოში ნ. რაზიკაშვილის და დ. პავლიაშვილის დროს, მაგრამ მათ წამოსვლის შემდეგ ისიც გადამწვარა და ატიალებულა.

მესამე, ეს სამკურნალო დაწესებულებათა უქონლობა. მთელ ხევსურში არც ერთი სავადმყოფო და სამშობიარო არ მოიძებნება, ასე რომ დღესაც ხევსურები თავიანთ „აქიმებს" მიმართავენ და მათნი დედები ისევ ძველებურად ბოსელში გაძევებულნი, როგორც უწმინდურნი ადათების ძალით ზედადგრებზე პირუტყვისებურ წამების ქვეშ მშობიარობენ. მეოთხე—ეს მათ შინა მრეწველობის განვითარება დამუშავება, მოგეხსენებათ რომ მთელი ხევსურეთი მესაქონლეობას მისდევს, ისეთი ღარიბი ოჯახი არ გამოვა, რომ 10–12 სული მეწველი საქონელი არ ჰყავდეს. ისიც ცნობილია რომ ხევსურეთის ერბოს მთელ კავკასიაში კონკურენციას ვერ უწევენ. მაგრამ ერბოს იგინი დღესაც ძველებურ წესებით აკეთებენ და არც ერთ მანქანას მათ კარმიდამოზე არ გაუჭაჭანია და არც ერთი ცნობა ახალ სისტემის დამუშავებისა არ მიუწვდია მათთვის არც ერთის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას.

მთელი ხევსურეთი იმოსება თავის ხელის ნაქსოვით და ამ დარგშიც საფეიქრო სახელოსნოების კარები ჯერ არავის შეუღია.

ტყის, მიწის და სხვა ამ გვარ გასაჭირთა შესახებ მათ ჯერ ხმა არ ამოუღლებიათ.

ერთად ერთი სავალალო ის რჩება, რომ ხევსური ნელ ნელა სტოვებს თავის მხარეს და იხიზნება. უკვე გაიხიზნენ „ცივზე", საჭაროა, სასწრაფო ზომები იქმნას მიღებული ეხლავე უმთავრეს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მაიც, თუ გვსურს შევინარჩუნოთ ბურჯი ჩვენი დამოუკიდებლობისა.

ბათირა.

# საფოსტო დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო აგვისტოს 19, საქართველოში მყოფ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის მთავარ მდივანს ანდრეევს საქართველოსა და რუსეთის შორის ფოსტა-ტელეგრაფის კონვენციის პროექტი გადასცა, წინასწარ მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ შესაძლებელია ზოგიერთი დაბრკოლება დაიბადოს მხოლოდ ფულის გადაგზავნის ოპერაციების დროს. ამ საკითხის გამოსარკვევად საჭირო იქნება დაარსება საგანგებო კომისიისა, რომელშიც შევლენ საბჭოთა მისიის ეკონომიური წარმომადგენლობის შინაგან სთა სამინისტროს, ხაზელმწიფო კონტროლის და ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს წარმომადგენლები.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო ამ ჟამად სცდილობს სასწრაფო ფოსტის საქართველოდან ევროპაში ჰაეროპლანებით გადატანა პრაქტიკულად მოაწყოს.

საქართველოსა და ევროპას შორის ჰაეროპლაების საშვალობით პირდაპირი დამოკიდებულების მოწყობა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, მიტომ რამოდენიმე ეტაპი იქნება მოწყობილი: თბილის—ბათომი, ბათომ-კონსტანტინოპოლი და სხვა.

საერთო დამოკიდებულების მოწყობა ადგილობრივ მფრინავებს მიენდობა. ჰაერით საფოსტო კავშირის დაჭერას ევროპასთან, რასაკვირველია, საქართველოსთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება. ამასთანავე მიღებულია ყოველგვარი ზომა საქართველოდან ევროპაში დეპეშების რადიოთი გადახაგზავნათ. ამ პროექტის განხორციელებით ვაჭარ-მრეწველთა წრეებს შეძლება მიეცემათ ევროპის უმთავრეს ბაზრებთან ქიდრო კავშირი დაიჭიროს.

# ბირჟის ცნობები.

## 0 მარი მოგისთვის ბიულეტენი.

| | სასყიდათ | გასაყიდ. |
|---|---|---|
| ინგლისური გირვანქები | 3800 | 3850 |
| ინგლისური ჩეკები | 3600 | 3650 |
| ფრანგული ფრანკები | 86 | 88 |
| „ ჩეკები | 68 | 70 |
| იტალიური ლირები | 62 | 65 |
| „ ჩეკები | 55 | 58 |
| გერმანული მარკები | 33/50 | 34 |
| „ „ | — | — |
| ავსტრიული კრონები | 8 | 8/25 |
| „ „ | — | — |
| ამერიკული დოლარები | 1000 | 1050 |
| ამერიკული ჩეკები | 920 | 950 |
| ოსმალური ლირები | 870 | 890 |
| „ ჩეკები | არ | არის |
| „ ოქრო | 4550 | 4650 |
| სომხეთის | 22 | 23 |
| აზერბაიჯანის | 32 | 33 |
| რუსეთის ოქრო 10 მ. | 4800 | 5200 |
| „ნიკოლოზის" მსხვილი | 11500 | 12500 |
| „ნიკოლოზის" წვრილი | 8000 | 8500 |
| „კერენკები" 1000 მ. | 2200 | 2700 |
| „ 250 მ. | 1300 | 1600 |
| „ წვრილი | 35 | 38 |
| იაბჭოთა რუსეთის | 30 | 32 |

ხარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხვ. კედია.

# მდგომარეობა ანგარიშებისა

საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა

(დეპ. მისამ. ცენტრობანკი)

გამგეობა ქ. თბილისში.

განყოფილება ქ. ბათომში და ბორჯომში.

1-ლ აგვისტოდან 1920 წ.

| აქტივი | | გამგეობაში. | | განყოფილებებში. | | ს უ ლ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კასა | | 7.580.014 | 38 | 26.388.465 | 01 | 33.968.479 | 39 |
| 2. მიმდინარე ანგარიშები: | | | | | | | |
| ა) ხაზინაში და სახელმწიფო ბანკში | 20 069.094—24 | | | | | | |
| ბ) კერძო ბანკებში | 4.945.123—10 | 25.014 217 | 34 | 1.036.459 | 89 | 26.050.677 | 23 |
| 3. განაღდებული ვექსილები არა ნაკლებ ორი ხელ. მომწ.: | | | | | | | |
| ა) სხვა და სხვა პირისა | 19.613.000— | | | | | | |
| ბ) ამხ. „მწყემსი"-სა | 39.071.100— | 58.684.100 | — | 6.557.000 | — | 65.241.100 | — |
| 4. ვადიანი სესხი გირავნობის ქვეშ: | | | | | | | |
| ა) პროცენტებ. | | — | — | — | — | — | — |
| ბ) საქონლისა | | 24.300.940 | — | 16.071.468 | — | 40.372.408 | — |
| 5. საგანგებო მიმდ. ანგარიშები: | | | | | | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილი პროც. ქაღალდებით | | — | — | — | — | — | — |
| ბ) საქონლით | | 5.290.056 | 73 | — | — | 5.290.056 | 73 |
| 6. სარგებლიანი ქაღალდები ბანკის საკუთრება, გარანტიანი. | | 8.300 | — | — | — | 8.300 | — |
| 7. ბანკნოტები და უცხო ქვეყნის ვალიუტა | | 233 980 | — | — | — | 233.980 | — |
| 8. კორესპონდენტი: | | | | | | | |
| ა. კონტო ლორო | 2.347.726 88 | | | | | | |
| ბ. კონტო ნოსტრო | 1.482.020—85 | 3.289,747 | 73 | — | — | 3.829.747 | 73 |
| 9. განყოფილებანი და სააგენტონი ა) | 11.923.326—52 | | | | | | |
| ბ. თანხები გაუტარებელი განყოფ. მიერ | 1.114,311—54 | 13.037.638 | 06 | — | — | 13.037.628 | 06 |
| 10. მოწყობილობა და ავეჯეულობა | | 1.019.215 | — | 73.911 | — | 1.593.136 | — |
| 11. გარდამავალი თანხები | | 5. 438. 638 | 65 | 863.559 | — | 6.302197 | 65 |
| 12. საორგანიზაციო ხარჯი | | 1.645.290 | 85 | — | — | 1.645.290 | 85 |
| 13. დასაბრუნებელი ხარჯი | | 61.872 | 25 | 6.600 | — | 68.472 | 25 |
| 14. მიმდინარე ხარჯი | | 2.795.549 | 50 | 960. 729 | 26 | 3.756.278 | 76 |
| 15. პროცენტებ. დარიცხულნი მიმდინ. ანგარიშებზე | | 118.172 | — | — | — | 118.172 | — |
| 16. საკომისიოთ მიღებული ვექსილები და საბუთები | | 6.722.123 | 75 | 513.719 | — | 7.235.842 | 75 |
| 17. უძრავი ქონება | | 20.380.009 | — | — | — | 20.380.009 | — |
| 18. აქციათა ანგარიში | | 8.438.500 | — | — | — | 8.438.500 | — |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | 184.598.365 | 24 | 52.971.911 | 16 | 237.570.276 | 40 |

| პასივი | | გამგეობაში. | | განყოფილებებში. | | ს უ ლ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ძირითადი კაპიტალი | | 30·000.000 | — | — | — | 30,000,000 | — |
| 2. საორგანიზაციო ხარჯის ფონდი | | 1. 531.950 | — | — | — | 1.531 950 | — |
| 3. მიმდინარე ამგარიშები | | 119.643.644 | 96 | 36.082.348 | 30 | 155.725.993 | 26 |
| 4. მობარებული-თანხები (დებული), ვადიანი | | 10.000.000 | — | — | — | 10.000.000 | — |
| 5. კორესპონდეტები: | | | | | | | |
| ა) კონტო ლორო | 162.435.—19 | | | | — | | |
| ბ) კონტო ნოსტრო | 1.012.615—79 | 1.175.050 | 98 | — | — | 1,175,050 | 98 |
| 6. პროცენეტებ. გადასახადი მიმდინარე ანგარიშებზე | | 113.516 | 78 | — | | 113.516 | 78 |
| 7. მიღებული პროცენტებ. და კომისია | | 7.730.880 | 01 | 2.129.967 | 34 | 9.860.856 | 35 |
| 8. შემოსავალი უძლავი ქონებიდან | | — | — | 58.640 | — | 58.640 | — |
| 9. მიღებული პროცენტებ. მომავალი 1921 წ. | | 5.602 | — | — | — | 5.602 | — |
| 10. 5 პროც. სახელმწიფო გადასახადი | | 232 | 76 | — | — | 23 2 | 76 |
| 11. ღერბის გადასახადი | | 1.012 | — | — | — | 1.012 | — |
| 12. გარდამავალი თანხები | | 7·500..723 | — | 1.151.050 | — | 8.651.773 | — |
| 13. გაუმართლებელი გარდასაგზ. ფულის ბარათები | | 173.620 | — | 18.000 | — | 191.620 | — |
| 14. გაცემული „ „ „ | | — | | 1.094 860 | — | 1.094.860 | — |
| 15 ბანკ ს კომიტენტები | | 6.722.123 | 75 | 513.719 | — | 7.235.842 | 75 |
| 16. განყოფილებანი და სააგენტონი | | | — | 11.923.326 | 52 | 11.923.326 | 52 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | 184.598365 | 24 | 52,971,911 | 16 | 237,570.276 | 40 |

თავმჯდომარე გამგეობისა პ. ა. გოთუა

წევრები გამგეობისა: ქ. ნ. აფხაზი; ნ. ყ. თავდგირიძე

მთავარი ბუჰგალტერი ხ. თ. კალანდარიშვილი

იყიდება სამოსახლო მიწები

ქუთაისში გეგუთის ქუჩაზე ქალაქის გარე ხაზთან. ხეხილით საუკეთესო მიწა, ზომით 3 დესეტ ნა.

ფოთში სამი ნაჭერი საუკეთესო ქუჩებზე 2000 კვ სჟ. იკითხეთ „საქართველოს" კონტორაში.

1—84—0

სამოვარი

იყიდება იქვე დანა ყანგალი და წვრილმანი ნივთეულობა

ყორღანოვის ქ., 28, ბინა 13.

იკითხეთ იუმატოვი.

4—1.

საჭიროა

ბინა ქარხნისათვის

რომელიც მოთავსებული უნდა იყოს 200 კვადრატიული საჟენის სივრცეზე რაიონი სულერთია. მიჰმართეთ ოლღის ქ., № 6, „განათლება"—გაყონიას

საქართველოს

სავაჭრო სამრეწველო ცენტრალურმა ბანკმა

გახსნა განყოფილება

ბორჯომში

აწარმოებს ყოველივე საბანკო ოპერაციას. მოაგარაკეთა ოჯახობას შეუძლიანთ თბილისიდგან მთავარ გამგეობაში გახსნილ მიმდინარე ანგარიშიდგან ბორჯომში მიიღონ ნაწილ-ნაწილად სახარჯო ფული. გადაგზავნ-გადმოგზავნა თანხის გაადვილებულ წესით ხდება.

73